პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 31 (10117) | კვირა, 6 თებერვალი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

კომუნისტურ პარტიას საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარება და ამ საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალი აღმავლობა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება. მძლავრ მრეწველობასთან ერთად უნდა გვქონდეს დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელსაც შეეძლება აწარმოოს იმდენი სურსათი და ნედლეული, რაც საჭიროა იმისათვის, რომ შეუფერხებლად მოვამარაგოთ მოსახლეობა სახალხო მოხმარების პროდუქტებით და მრეწველობა — ნედლეულით.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1955 წლის 3 თებერვლის გაერთიანებული სხდომა. სურათზე: თავმჯდომარის მაგიდასთან (მარცხნიდან მარჯვნივ): ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები — პ. ტ. კომაროვი, პ. გ. ტიჩინა, მ. მ. სულტანოვა, ნ. ე. ავხიმოვიჩი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. ტ. კალჩენკო, ვ. პ. მჟავანაძე, ზ. ს. ომაროვა, ა. ა. ლებედევი, ლოჟებში — ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. კირიჩენკო, პ. კ. პონომარენკო, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ნ. შატალინი. ტრიბუნაზეა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. გ. ზვერევი.

ფოტო ნ. პეტროვისა და ა. ეგოროვისა.

## საარჩევნო უბანი — ყურადღების ცენტრში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება განსაკუთრებულ ვითარებაში მიმდინარეობს. ახლახან დამთავრებულმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ, მთელი ჩვენი ხალხის მოქმედების საბრძოლო პროგრამა დასახა. 3 თებერვალს მოსკოვში მუშაობას შეუდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს.

პლენუმის გადაწყვეტილება და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომლებშიც ნათლად არის გამოხატული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ახალი საგმირო საქმეებისათვის რაზმავს და აფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს.

რესპუბლიკის მშრომელთა მძლავრი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ნიშნით მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი მიძღვნილმა წინასაარჩევნო კრებებმა კვლავ მთელი სისრულით გამოავლინა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის უძლეველობა, პარტიის, მთავრობისა და ხალხის მტკიცე ერთიანობა.

ყოველდღიურად ახალ გაქანებას იღებს აგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. მარტო თბილისში 17.500 აგიტატორი მუშაობს, არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ქალაქ სოხუმის საწარმო-დაწესებულებებსა და მოსახლეობაში 1.500-ზე მეტი აგიტატორი ეწევა აგიტაციას. კარგად მოაწყვეს ამომრჩეველთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ქ. ფოთის ნავსადგურის, რკინიგზის და ცენტრის პირველი უბნის აგიტპუნქტებმა. ამ აგიტპუნქტებში ყოველდღიურად მრავალი ამომრჩეველი იყრის თავს. ისინი ეცნობიან საარჩევნო ლიტერატურას, ისმენენ აგიტატორთა საუბრებს, ესწრებიან მხატვრულ საღამოებს.

საარჩევნო კამპანიაში დაიწყო ახალი პასუხსაგები პერიოდი — დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაცია, ამომრჩევლებისათვის კანდიდატების შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის გაცნობა. ამ საქმეს პარტიული ორგანიზაციები, აგიტპუნქტები და აგიტატორები მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ.

არჩევნების ბედი საბოლოოდ საარჩევნო უბნებში წყდება, ამომრჩევლები აქ ახორციელებენ თავიანთ მოქალაქეობრივ უფლებას, აქ აძლევენ ხმას დასახელებულ კანდიდატებს. ამიტომ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის სიმძიმის ცენტრი სწორედ საარჩევნო უბნებში უნდა იქნას გადატანილი. პარტიულმა ორგანიზაციებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა საარჩევნო უბნების მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა საარჩევნო უბნებისა და აგიტპუნქტებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა, მათთვის შესაფერი ბინების შერჩევა, განათებით, გათბობითა და კავშირის საშუალებით უზრუნველყოფა, საარჩევნო დოკუმენტაციით დროულად მომარაგება.

საარჩევნო უბნებთან შექმნილი აგიტპუნქტები მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრებს უნდა წარმოადგენდნენ. ამომრჩეველს იქ უნდა შეეძლოს საარჩევნო ლიტერატურის, ახალი ჟურნალ-გაზეთების წაკითხვა, საინტერესო საუბრის, ლექციისა და მოხსენების მოსმენა, კულტურული დასვენება. ამ ამოცანას აგიტპუნქტები მხოლოდ მაშინ შეასრულებენ, თუ მათ ყოველდღიურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას გაუწევენ პარტიული ორგანიზაციები.

საჭიროა ყოველი ღონისძიება განვახორციელოთ იმისათვის, რომ ამომრჩევლებისათვის მოწყობილი თვითეული საგიტაციო საუბარი, მოხსენება თუ ლექცია იყოს მაღალიდეური, მიზანსწრაფული, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული. მასებში პოლიტიკური მუშაობის დედაარსს უნდა წარმოადგენდეს სოციალისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის მათი მჭიდროდ დარაზმვა, ადამიანთა სოციალისტური შეგნების, სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება, მათი პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერება.

ამომრჩევლებს საფუძვლიანად უნდა განვუმარტოთ იმ ღონისძიებათა მნიშვნელობა, რასაც საბჭოთა კავშირი და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები ახორციელებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ამომრჩევლებს უნდა გავაცნოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

საარჩევნო კამპანიამ შედეგად უნდა მოგვცეს მშრომელთა შემოქმედებითი ძალების გამრავლება კომუნიზმის მშენებლობის იმ გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

# კრემლის სასახლეში

### ეროვნებათა საბჭოს სხდომა

4 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე კრემლის დიდ სასახლეში დაიწყო ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა. თავმჯდომარის მაგიდას უსხედან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი და მისი მოადგილენი. მთავრობის ლოჟებში არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მინისტრები.

თანამოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ბიუჯეტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ ა. მ. საფრონოვს.

სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, ამბობს იგი, ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს უდიდეს მიღწევებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში, რომელიც ჩვენი სამშობლოს სოციალისტური ეკონომიკისა და ძლიერების საფუძველია. ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიას შემოაქვს წინადადება დამტკიცდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი კომისიის შესწორებათა გათვალისწინებით.

დეპუტატი საფრონოვი ახასიათებს ბიუჯეტის ცალკეულ მუხლებს. იგი აღნიშნავს მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების გადიდებას 6,4 პროცენტით 1954 წელთან შედარებით. მიმდინარე წელს რესპუბლიკებში აიგება ახალი სამრეწველო და კომუნალური საწარმოები, გაიხსნება ახალი სასწავლებლები, საავადმყოფოები და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებანი.

დეპუტატი საფრონოვი გამოთქვამს მთელ რიგ კრიტიკულ შენიშვნებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიმართ. ფინანსთა სამინისტროსა და საფინანსო ორგანოების მუშაობაში, ამბობს იგი, არსებითი ნაკლია არასაკმაო კონტროლი სახელმწიფო სახსრების გამოყენებისადმი. სამინისტრო სისტემატურად არ მუშაობს სამმართველო აპარატის სტრუქტურის გამარტივების შესახებ წინადადებათა შესადგენად.

დეპუტატ საფრონოვის გამოსვლის შემდეგ ეროვნებათა საბჭომ დაიწყო განხილვა მოხსენებისა სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1953 წლის ბიუჯეტის [illegible]

მიღწეული ენერგეტიკისა და ტორფის მრეწველობის განვითარებაში, ჩარხმშენებლობაში, გემთმშენებლობაში, ელექტრომანქანათმშენებლობასა და ტურბინმშენებლობაში. სახალხო მოხმარების საქონელი გასულ წელს გამოშვებულია 605 მილიონი მანეთით მეტი ღირებულებისა, ვიდრე 1953 წელს. მაგრამ, აღნიშნავს დეპუტატი, საერთო მაჩვენებლებს იქით ხშირად ვერ ვამჩნევთ ცალკეული საწარმოების ცუდ მუშაობას, რომლებიც ვერ ასრულებენ დავალებებს, რის შედეგად სახელმწიფოს აკლდება დიდძალი პროდუქცია.

დეპუტატი აკრიტიკებს სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროსა და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, რომლებიც წლის განმავლობაში რამდენჯერმე ცვლიან საწარმოო გეგმებს, რასაც მოსდევს საწარმოთა ფინანსური საქმიანობის ფაქტიურად შეცვლა, დაგროვების შემცირება.

დასასრულ ამხ. გედვილასს წინადადება შეაქვს დამტკიცდეს 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საბიუჯეტო კომისიის შესწორებებით.

დეპუტატი ს. გ. რაგიმოვი (აზერბაიჯანის სსრ) თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების 1954 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები ცხადყოფენ სოციალისტური ეკონომიკის განუხრელ ზრდას, საბჭოთა ხალხის მშვიდობისმოყვარეობასა და მის მისწრაფებას შენარჩუნებულ იქნას და განმტკიცდეს მშვიდობა მთელ მსოფლიოში. ლაპარაკობს რა შემდეგ რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმატებებზე, დეპუტატი რაგიმოვი აღნიშნავს, რომ შედეგები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს დროზე რომ აღმოეფხვრათ დიდი ნაკლოვანებანი სამრეწველო საწარმოების, მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში. სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო საკმაო კონტროლს არ უწევს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საუწყებო საწარმოთა მუშაობას. არის შემხვედ- [illegible]

ტექნიკური ხერხები, რომლებიც ხელს უწყობენ ბამბის უხვი მოსავლის მიღებას: ვიწრო მწკრივთა შორისებით თესვა, კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა და დამუშავება. აგროტექნიკის ახალი მეთოდების ფართოდ გამოყენებამ შესაძლებლობა მისცა რესპუბლიკის მებამბეებს გასულ წელს გადაჭარბებით შეესრულებინათ ბამბის დამზადების სახელმწიფო გეგმა და კვლავ შეენარჩუნებინათ პირველობა ბამბის მოსავლიანობაში.

შემდეგ ორატორი ამბობს, რომ სოფლის მეურნეობისადმი, განსაკუთრებით მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობაში დიდი ნაკლოვანებებია. რესპუბლიკამ გასულ წელს ვერ შეასრულა მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების გეგმა. ეს იმის შედეგი იყო, რომ ყურადღება არ ექცეოდა საკვებ ბაზას.

ტაჯიკი ხალხი, ამბობს ამხ. რასულოვი, ყოველივეს გააკეთებს იმისათვის, რომ წარმატებით გადაჭრას მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ამოცანები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს.

დეპუტატი ვ. კ. კრუმინში (ლატვიის სსრ) ლაპარაკობს რესპუბლიკური ორგანოების როლზე ადგილობრივი მრეწველობისადმი ხელმძღვანელობაში, აღნიშნავს ნაკლოვანებებს წარმოების ორგანიზაციისა და პროდუქციის გასაღების დაგეგმვაში. ბევრი სხვადასხვა საქონელი ყოველწლიურად შემოაქვთ რესპუბლიკაში სხვა ადგილებიდან, თუმცა ეს საქონელი წარმატებით მზადდება აქ. რესპუბლიკაში გაწეულია გარკვეული მუშაობა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურის მოწესრიგებისა და კანცელარიიდან წარმოებაში სპეციალისტთა გადაყვანის საქმეში. აპარატის შესანახავად ბიუჯეტის ხარჯები 16,5 პროცენტით შემცირდა. მაგრამ გაწეული მუშაობა ორატორს სამმართველო აპარატის გამარტივების გზაზე გადადგმულ მხოლოდ პირველ ნაბიჯად მიაჩნია. იგი წინადადებას იძლევა, კერძოდ, გაერთიანდეს რესპუბლიკაში პარალელურად არსებული სატყეო მეურნეობანი და სატყეო-სამრეწველო მეურნეობანი, რაც შესაძლებელს გახდის უკეთ გამოვიყენოთ [illegible]

ლიონი ფუთი მარცვლეულის მოყვანისათვის, 2 მილიონი ფუთი ერბო-კარაქისა და ყველის წარმოებისათვის.

ხარშან ალტაის მხარეში ახალი მიწების ათვისებლად ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებიდან ჩამოვიდა 26.400 ახალგაზრდა პატრიოტი. გარდა ამისა, კოლმეურნეობებში 3.823 ოჯახი ჩამოვიდა უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ცენტრალური ოლქებიდან. ჩვენ ვცდილობთ, ამბობს ორატორი, ყოველნაირად დავეხმაროთ ახალმოსახლეთ ახალ ადგილზე მოწყობაში. მათთვის აშენდა და შენდება ასობით სახლი, გახსნილია სკოლები, საავადმყოფოები, კლუბები, ბიბლიოთეკები, მაღაზიები, სასადილოები. ბიუჯეტით დიდი სახსრებია გათვალისწინებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში.

დასასრულ დეპუტატი მოითხოვს აღმოიფხვრას ის პრაქტიკა, რომ მხარეებისა და ოლქების ბიუჯეტებში ბევრი ცვლილება შეაქვთ წლის მანძილზე. მაგალითად, ალტაის მხარის ბიუჯეტში ხარშან 117 შესწორება შეიტანეს. ეს, აღნიშნავს დეპუტატი, ასუსტებს ადგილობრივ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას ბიუჯეტის შესრულებისათვის.

მ. ზ. აზიზოვი (თათრეთის ასსრ) ეხება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აქ წარმატებით მოჰყავთ შაქრის ჭარხალი, ხოლო ამ კულტურის გადასამუშავებელი საწარმოები არ არის. საკმარისი არ არის ხორცის გადასამუშავებელი მრეწველობის საწარმოო სიმძლავრენი, ნაკლებად მექანიზებულია რძის ქარხნები.

რესპუბლიკაში ფართოდ ჩაღდება სამრეწველო და საბინაო მშენებლობა, განსაკუთრებით ნავთობის ამოღების რაიონში. ეს მოითხოვს, რომ საკავშირო სამინისტროებმა დიდი ყურადღება მიაქციონ ახალმშენებლობებს.

დეპუტატი მ. პ. გიორგაძე (საქართველოს სსრ) აყენებს მთელ რიგ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტამაც ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკის მეურნეობის წამყვანი დარგების წარმატებით განვითარებას. საქართველო იძლევა ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ჩაის 95 პროცენტს. მაგრამ ჩაის მოყვანის სამუშაოები ჯერ კიდევ სუსტად არის მექანიზებული. [illegible]

## ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკელი ჟურნალისტები ვ. რ. ჰერსტი, ჯ. კინგსბერი სმითი და ფ. კონიფი

5 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკელი ჟურნალისტები ვ. რ. ჰერსტი, ჯ. კინგსბერი სმითი და ფ. კონიფი და ჰქონდა მათთან ხანგრძლივი საუბარი. (საქინფორმი).

# საბჭოთა აფხაზეთი არჩევნების წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვაქვს „საუცხოო საშუალება“ ერთბაშად, ერთი დაკვრით გავაათკეცოთ ჩვენი სახელმწიფო აპარატი, საშუალება, რომელიც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არასდროს არ ჰქონია და არც შეიძლება ექნეს. ეს საუცხოო საქმეა — მშრომელთა მიზიდვა... სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ყოველდღიურ მუშაობაში.

**ვ. ი. ლენინი.**

## ახალ საარჩევნო ოლქში

სწრაფად მზარდი ქალაქია საბჭოთა ხუთწლედების პირმშო, საქართველოს ახალი დიდი სამრეწველო ცენტრი ტყვარჩელი. განუწყვეტლივ ვითარდება და დიდდება არა მარტო მისი საწარმოო სიმძლავრე, არამედ იზრდება თვით ქალაქი.

თუ რა დიდი ცვლილებები მოხდა მეშახტეთა ქალაქის ცხოვრებაში უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე, ამას ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების დროს აქ ორი ოლქი იყო, ახლა კი სამია.

ქალაქის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო უბანში აკარმარაში შექმნილი ახალი საარჩევნო ოლქის სამეურნეო და კულტურული წინსვლა მეტად დამახასიათებელია სოციალისტური ტყვარჩელისათვის. საგრძნობლად იმატა ქვანახშირის მოპოვებამ, უკანასკნელ ოთხ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაცემული ახალი სიმძლავრეები ტყვარჩელში ამოღებული მთელი ქვანახშირის 36 პროცენტს იძლევა.

აკარმარის მთაგორიანი პეიზაჟი სწრაფად იცვლის სახეს. ფერდობებზე ახალ-ახალი ლამაზი შენობები ჩნდება. აიგო ხევრი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი, სკოლის ოთხსართულიანი შენობა, რომელსაც კარგად მოწყობილი კაბინეტები და სასპორტო დარბაზი აქვს, დიდი სასტუმრო, კლუბისათვის ახალი დარბაზი, რომელიც 350 მაყურებელს იტევს. საახალწლოდ დაიწყო ასსაწოლიანი საავადმყოფოს ექსპლოატაცია. გაიხსნა საკოლმეურნეო ბაზარი.

მდინარე ღალიძგაზე დამთავრდა ხიდის მშენებლობა. იგი რკინიგზის სადგურს დააკავშირებს საცხოვრებელ უბანთან. მალე მეშახტეებს ექნებათ ღამის კეთილმოწყობილი სანატორიუმი, რომლის სამსართულიან შენობას ქალაქის ამ უბანში აგებენ.

მძლავრი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა ახლა საარჩევნო ოლქში. არჩევნების აღსანიშნავად მეშახტეებმა გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს და სასახელოდ ანაღდებენ მათ. სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ თებერვლის დავალება 25 რიცხვისათვის გაანაღდოს. იანვრის გეგმა მან 102 პროცენტით შეასრულა. მთლიანად ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეშახტეებმა ერთი დღით ადრე გაანაღდეს გასული თვის დავალება.

ჩქეფს მუშაობა აკარმარის აგიტპუნქტში. იკითხება ლექციები, ეწყობა მოხსენებები. უკვე გაიმართა ამომრჩეველთა რამდენიმე საღამო.

ახალ საარჩევნო ოლქში გაჩაღებულია მრავალფეროვანი წინასაარჩევნო მუშაობა.

**თ. სკრებნევი,**

ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტის მნგრეველთა ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

## ჰექტარზე 20 ცენტნერი თამბაქოსათვის

ჩვენს ბრიგადაში წამყვანი კულტურა თამბაქოა. ამ კულტურას გასულ წელს 10 ჰექტარი ეკავა. არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად, ჰექტარზე 15 ცენტნერი თამბაქო მივიღეთ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9,5 ცენტნერისა.

ბრიგადაში 33 შრომისუნარიანი კოლმეურნეა, რომლებიც გაერთიანებული არიან 4 რგოლში. მათ შორის სამი ძირითადად თამბაქოზე მუშაობს, მეოთხეს ჩაის პლანტაციები აბარია. საზოგადოებრივ შრომაში ყველა კოლმეურნე მონაწილეობს.

თამბაქოს უხვ მოსავალს აქედანვე ვუყრით საფუძველს. ამ კულტურისათვის ავითვისეთ 3 ჰექტარი ყამირი. გულმოდგინედ მოვამზადეთ სანერგისათვის ნიადაგი, წესრიგში მოვიყვანეთ ჩარჩოები, მოვიმარაგეთ ნაკელი.

გადავწყვიტეთ წელს თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერი თამბაქოს ნედლეული მივიღოთ და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოვიპოვოთ.

**ლ. კაპიკიანი,**

სოხუმის რაიონის სოფელ გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

## მასების მაღალი აქტივობის ნიშნით

**ა. ჭოჭუა,**

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, დღითიდღე სულ უფრო ჩაღდება მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მომავალ არჩევნებს ხვდებიან ახალი წარმატებებით, რომლებიც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით მოპოვებულია კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებაში.

შარშან სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა წარმატებით დაამთავრეს სამეურნეო წელი. აფხაზეთის მრეწველობამ წლიური გეგმა 21 დეკემბრისათვის შეასრულა. ამასთან საერთო პროდუქციის გამოშვება 1953 წელთან შედარებით 5,5 პროცენტით გაიზარდა.

მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში ღირსეული წვლილი შეაქვთ ტყვარჩელის მეშახტეებს, რომლებიც ზრდიან ქვანახშირის ამოღებას. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 4 შახტის მოწინავე კოლექტივმა, რომელმაც სათბობის მოპოვების ხუთწლიანი პროგრამა 1954 წლის 25 დეკემბრისათვის შეასრულა და ახლა ქვანახშირს 1956 წლის ანგარიშში იღებს.

წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და აფხაზეთის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს საწარმოებმა. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე ქალაქ სოხუმის მეთამბაქოეთა, მეფეხსაცმელეთა, მეკონსერვეთა და კონდიტერთა კოლექტივებმა, რომლებმაც გეგმის გადამეტებით მილიონობით მანეთის პროდუქცია მისცეს სამშობლოს.

გასულ წელს მწყობრში ჩადგნენ მთელი რიგი ახალი საწარმოები: ოქუმის ჩაის ფაბრიკა, სოხუმის სარძეო ქარხანა, გუდაუთის პურის ქარხანა, გაგრის თევზის ქარხანა, კირის ორი ქარხანა და სხვა საწარმოები.

იბრძვიან რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, აფხაზეთის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა 1954 წელს გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ძირითადი ტექნიკური და სასურსათო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

აფხაზეთის მეჩაიეებმა შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა, სახელმწიფოს ჩააბარეს 846 ტონით მეტი ჩაი, ვიდრე 1953 წელს. მნიშვნელოვნად გადიდდა ჩაის პლანტაციების ფართობი, რამაც 1954 წელს შეადგინა 11.209 ჰექტარი. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში აფხაზეთში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი 5.717.000 კილოგრამით გაიზარდა.

მეჩაიეობის განვითარებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს: გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფა 5.070 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ და სხვებმა.

აფხაზეთის მეთამბაქოეებმა 1954 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების გეგმა შეასრულეს, სახელმწიფოს ჩააბარეს 7.000 ტონაზე მეტი თამბაქოს ნედლეული და ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 200 ტონა თამბაქოს ნედლეული.

გასულ წელს სიმინდის მოსავალმა ორჯერ გადააჭარბა 1953 წლის მოსავალს. სიმინდის დიდი მოსავალი მიიღეს სოფელ ქვემო ბარღების სტალინის სახელობის და გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობების წევრებმა, რომლებმაც საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 30 ცენტნერზე მეტი სიმინდი.

დიდი სამუშაოები ხორციელდება კოლმეურნეობათა ციტრუსოვანი მეურნეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში დიდი როლი შეასრულეს მტს-ებმა, რომელთა რიცხვი 1954 წელს ექვსამდე გაიზარდა. აქედან ორი ახალი მტს-ი მოეწყო ოჩამჩირისა და გაგრის რაიონებში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების შედეგად იზრდება საზოგადოებრივი მეურნეობა, დიდდება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. წინასწარი ვარაუდით უკანასკნელ ოთხ წელიწადში კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების თანხა გაიზარდა 100 მილიონ მანეთამდე, ხოლო ძირითადი საშუალებებისა — 50 მილიონ მანეთამდე, ამის შესაბამისად გადიდდა შრომადღის ღირებულებაც.

უკანასკნელ წლებში შემდგომ გაუმჯობესდა მშრომელთა კულტურული და სამედიცინო მომსახურება. 1954 წელს 1953 წელთან შედარებით განათლების ხარჯები 1,5 მილიონი მანეთით გადიდდა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ხარჯები ჯანმრთელობის დაცვისათვის. 1954 წელს ტყვარჩელში ამუშავდა სამედიცინო ქალაქი, გაგრაში — ახალი საავადმყოფო თავისი პოლიკლინიკით, სოფელ ქვემო ბარღებში რეკონსტრუირებულია საავადმყოფოს შენობა.

წლითიწლობით სულ უფრო მეტი მშრომელი ჩამოდის შავი ზღვის სანაპიროზე სამკურნალოდ და დასასვენებლად. გასულ წელს აფხაზეთის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში დაისვენა და იმკურნალა 43 ათასზე მეტმა მშრომელმა. უკანასკნელ ხანს მწყობრში ჩადგა მთელი რიგი ახალი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები.

წელს აფხაზეთის მშრომელებს წინაშე დგას ახალი და პასუხსაგები ამოცანები რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების დარგში. ამასთან დაკავშირებით საბჭოების არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობის ვითარებაში. ეს გამოხატულებას პოულობს საბჭოების არჩევნების აღსანიშნავად 1955 წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობის, სრული ერთსულოვნებისა და დარაზმულობის ვითარებაში ჩაიარა კრებებმა, რომლებზეც დასახელებულ იქნენ საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები. ამ კრებებმა ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა ადამიანების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მათი დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა თანხმობა განაცხადეს კენჭი იყარონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე. აფხაზეთის მშრომელები განსაკუთრებული სიხარულით შეხვდნენ ლ. მ. კაგანოვიჩის თანხმობას კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე სოხუმის ლენინის № 293 საარჩევნო ოლქში.

აფხაზეთის მშრომელებმა საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის საუკეთესო წარმომადგენლები, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მოწინავე ადამიანები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს შორის არიან: სტალინური პრემიის ლაურეატი, მეცნიერი თანამშრომელი ზ. მ. ასაევი, სოხუმის საკონსერვო ქარხნის მოწინავე მუშა მ. პ. ბასილაია, გაგრის რაიონული საავადმყოფოს ექიმი ი. ლ. კაპბა, გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მერგოლეური თ. დ. ღვანჯილია და სხვები.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან აფხაზეთის მოწინავე ადამიანები.

გაჩაღებულ საარჩევნო კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მშრომელთა ფართო მასები. აფხაზეთში არჩევნებისათვის მოსამზადებელ მუშაობას ეწევა 2.983 საოლქო საარჩევნო და 260-ზე მეტი საუბნო საარჩევნო კომისია, რომლებშიც 15.000-ზე მეტი კაცია.

უეჭველია, რომ არჩევნების დღეს — 1955 წლის 27 თებერვალს აფხაზეთის მშრომელები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

რესპუბლიკის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო პროგრამაა. ისინი აღსავსენი არიან გადაწყვეტილებით მთელი ძალები დარაზმონ პლენუმის მიერ დასახული ღონისძიებების შესრულებისათვის საბრძოლველად.

## სოფელი აღმავლობის გზაზე

მრავალმხრივ იყო შესანიშნავი ჩვენი კოლმეურნეობისათვის საქართველოს და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოების წინა არჩევნების შემდეგ განვლილი პერიოდი. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენმა სასოფლო-სამეურნეო არტელმა კოლმეურნეთა აქტიური შრომითი საქმიანობით თავი დააღწია ჩამორჩენილობას და მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

გასულ წელს პირნათლად მოვიხადეთ ვალი სახელმწიფოს წინაშე. რამდენიმე ტონით გადავამეტეთ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმას, გადაჭარბებით შევასრულეთ თამბაქოს ჩაბარების დავალებაც.

შარშან კოლმეურნეობამ სამი მილიონ ასი ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო. არტელის წევრებს თვითეულ შრომადღეზე მარტო ფულად ხვდათ 22 მანეთი.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით მეცხოველეობის განვითარებისათვის. ავაგეთ ორი სასილოსე კოშკი, თვითეული 50 ტონა ტევადობისა, ვაშენებთ პირუტყვის ტიპურ სადგომს 87 სულისათვის. სამუშაოების უდიდესი ნაწილი შესრულებულია.

დიდი ხანი არ არის, რაც კოლმეურნეობის გამგეობა გადავიდა ახლადაგებულ ორსართულიან ლამაზ ადმინისტრაციულ შენობაში, რომელშიც გარდა კანტორისა, მოთავსებულია 250 მაყურებლისათვის განკუთვნილი კლუბი, აგრეთვე ოთახები საწრეო მუშაობისათვის.

ახლო მომავალში განზრახული გვაქვს ავაშენოთ საწყობის კაპიტალური შენობა, რომელშიც 250 ტონაზე მეტი პროდუქტები დაეტევა.

დღითიდღე უმჯობესდება კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობები. საკმარისია ითქვას, რომ 1954 წელს თვრამეტმა კომლმა ახალი საცხოვრებელი სახლები აიშენა.

გასულ წელს ავითვისეთ ოცდაათამდე ჰექტარი ახალი მიწა, რომელზეც სიმინდი დავთესეთ.

ახლა კოლმეურნეები პლანტაციებში საზამთრო სამუშაოებს ასრულებენ: ბარავენ ჩაის ფართობებს, შეაქვთ მინერალური სასუქები, ამზადებენ ნიადაგს თამბაქოს ჩითილის გადასარგავად.

ჩვენი კოლმეურნეები ცდილობენ საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში მოპოვებული ახალი წარმატებებით აღნიშნონ საბჭოების არჩევნები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებამ ახალი დიდი ამოცანები დასახა საკოლმეურნეო სოფლის წინაშე. ჩვენ მთელს შესაძლებლობას მოვახმართ ამ ამოცანების შესრულებას, დაუცხრომლად ვიბრძოლებთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი ამაღლებისათვის.

**ჯ. აძინბა,**

ოჩამჩირის რაიონის სოფელ თხინას ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## მაღალ ნდობას გავამართლებ

შარშან ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით 65 მილიონი ცალი პაპიროსი გამოუშვა. ახლა, არჩევნების აღსანიშნავად, ვიკისრეთ თებერვლის საწარმოო პროგრამა ვადამდე შევასრულოთ.

ამ ღირსსახსოვარ დღეებში ჩვენი კოლექტივი დავალების 110-115 პროცენტს იძლევა. იანვარში გეგმის გადამეტებით დამზადებულია 7 მილიონი ცალი პაპიროსი. მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვს საპილზე საამქროს.

განსაკუთრებით მახარებს და მაღელვებს ის დიდი ნდობა, რომელიც ჩვენი ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა გამომიცხადეს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რომ დამასახელეს. მთელ ჩემს ძალასა და გამოცდილებას მოვახმარ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. ვეცდები ღირსეულად გავამართლო ამომრჩეველთა მაღალი ნდობა.

**ა. ძიძარია,**

სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის ნოვატორი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

## ერთი თეატრის ორი კოლექტივი

საქართველოს მშრომელებთან ერთად აქტიურად ემზადება არჩევნებისათვის სოხუმის მრავალი შემოქმედებითი ორგანიზაცია, მათ შორის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელიც აერთიანებს ორ შემოქმედებითს კოლექტივს — აფხაზურსა და ქართულს. აფხაზურმა კოლექტივმა დიდი მუშაობა გასწია და ახლაც ეწევა აფხაზური ეროვნული სასცენო ხელოვნების შექმნისა და მისი შემდგომი განმტკიცებისათვის.

აფხაზურმა კოლექტივმა უკანასკნელ წლებში წარმატებით განახორციელა კლასიკური და თანამედროვე საბჭოთა დრამატურგიის მთელი რიგი ნაწარმოებები — გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“, შექსპირის „ოტელო“, ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, სიმონოვის „ერთი სიყვარულის ისტორია“, აგრეთვე გაბუნიას „მზის ამოსვლის წინ“, ფაჩალიას „დიდი ქორწილი“ და სხვ.

ქართულ კოლექტივს სამართლიანად უკავია საპატიო ადგილი საქართველოს თეატრებს შორის. მისმა დადგმებმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა როგორც სოხუმში, ისე თბილისში გასტროლებზე ყოფნის დროს.

უკანასკნელ წლებში თეატრმა მაყურებელს უჩვენა მაღალმხატვრული სპექტაკლები — შერიდანის „ჭორიკანობის სკოლა“, ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, გორკის „მდაბიონი“, დიუმანუას და დენერის „დონ სეზარ დე ბაზანი“, მრევლიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, ნაზიმ ჰიქმეთის „ლეგენდა სიყვარულზე“, ს. კლდიაშვილის „დღესასწაული საკრეულაში“, გ. ნახუცრიშვილის „ავლაბრის სტამბა“, მუხთაროვის „ალანის ოჯახი“, ა. კორნეიჩუკის „ძახველის ჭალა“, ბ. ლავრენევის „რღვევა“, კ. გოგიავას „გაიხაროს ფულარიამ“ და სხვ.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში თეატრის ქართულმა კოლექტივმა 29 იანვარს მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“. 27 თებერვლისათვის თეატრს განზრახული აქვს განახორციელოს პ. კაკაბაძის ცნობილი კომედიის „კოლმეურნის ქორწინების“ ახალი დადგმა.

აფხაზური კოლექტივი, რომელმაც იანვარში კ. სიმონოვის „ერთი სიყვარულის ისტორია“ დადგა, თებერვალში მოამზადებს სოხკოს და ბალაბანის პიესას „ასი მილიონი“.

თეატრის ორივე შემოქმედებითმა კოლექტივმა ამომრჩეველთა კულტურული მომსახურების მიზნით შექმნა მხატვრული ბრიგადები, მართავს კონცერტებს და საღამოებს, ადგილებზე უჩვენებს სპექტაკლებს.

**შ. ბაბესკირია,**

სოხუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორი.

## ეს არ იყო ოთხი წლის წინათ

ულამაზესია საქართველოს ეს კუთხე წლის ყოველ დროს.

ყალმით ნახატივით წარმტაცია აფხაზეთის ზურმუხტოვანი მთები ახლაც, შუა ზამთარში. ლურჯად ლივლივებს მოკამკამე ზღვა, მზით გამთბარი ნიავი ნელა აშრიალებს ევკალიპტის ფოთლებს, დინჯად ირხევიან ტანწერწეტა ნაძვები. ფერდობებზე მოჩანს ნახელი კოხტა შენობები — სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, კოტეჯები.

დღითიდღე სულ უფრო მეტად ლამაზდება, სახეს იცვლის საბჭოთა აფხაზეთი. უკანასკნელი წლების მანძილზე მრავალი ახალი კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო ნაგებობებით, საცხოვრებელი და ადმინისტრაციული სახლით დამშვენდა საქართველოს ეს კუთხე. მწყობრში ჩადგნენ ახალი საწარმოები, მოსავალს იძლევა გატეხილი ყამირი, ახალგაშენებული პლანტაციები, შეიქმნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

ტყვარჩელს შეემატა ახალი საწარმოო სიმძლავრეები, მწყობრში ჩადგა ოქუმის ჩაის ფაბრიკა, საექსპლოატაციოდ გადაეცა სოხუმის რძის ქარხანა და მრავალი სხვა საწარმო.

მეშახტეთა ქალაქში მარტო ცალკეული შენობები როდი აიგო, არამედ აქ გაჩნდა მთელი ახალი დასახლებული უბნები. ასეთია მაგალითად, აბგიგდარა. 1951 წლიდან დღემდე ტყვარჩელში მეშახტეებისათვის აშენდა 140-მდე ორსამსართულიანი საცხოვრებელი სახლი კეთილმოწყობილი ბინებით, რომელთა საერთო ფართობი 45 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება. გარდა ამისა, აიგო 600 ინდივიდუალური სახლი.

შარშან ოჩამჩირის რაიონის 13 კოლმეურნეობაში დაამთავრეს მეცხოველეო-





ნობას რომ ხედავთ, ეს რკინიგზის სკოლაა. დიდი ხანი არ არის, რაც იგი გაიხსნა სოხუმში, ჭოჭუას ქუჩაზე.

ქვემოთ თაღებითა და კოლონებით დამშვენებული არქიტექტურუ- [illegible]



ბის ტი[illegible] მოყალი[illegible] თა საღ[illegible] ნეობას [illegible] ორი[illegible] სახელმ[illegible] ნობა, [illegible] ლი კლ[illegible] სკოლა, [illegible] საბავშ[illegible] საქვე[illegible] ზღვის [illegible] გუდაუ[illegible] მები [illegible] მატა. ამ ფ[illegible] გიერთი [illegible] უკანას[illegible] ხაზეთ[illegible]



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა აჭარა არჩევნების წინ

★ ★

## შემოქმედებითი შრომის ბარაქა

ქობულეთს რომ გასცილდებით და ხელმარცხნივ რკინიგზის ლიანდაგს გადაჭრით, ფართო კეთილმოწყობილი გზით სოფელში შეხვალთ. ვისაც სამიოდე ათეული წლის წინათ ამ მიდამოში გაუვლია და შემდეგ აღარ უნახავს, ახლა აქაურობას ვეღარ იცნობს. ეკალბარდითა და გვიმრით დაფარული გაველურებული ზეგნების ნაცვლად თვალწინ გადაეშლება ხავერდოვანი წალკოტი, მუქრით გაშენებული ჩაისა და ციტრუსების მარადმწვანე პლანტაციები. ირგვლივ, საითაც უნდა გაიხედოთ, ლამაზ ეზოებში მოჩანს ბაღნარში ჩაფლული მაღალ სვეტებზე შემდგარი კოხტა სახლები. საღამოს, როცა მზის უკანასკნელი სხივები შავი ზღვის სილურჯეში ჩაინთქმება, ამ სახლებში ილიჩის ნათურები აკაშკაშდებიან, კოლმეურნეები რადიოს ჩართავენ და ყურს უგდებენ მოსკოვის ხმას, მშვიდობისა და ბედნიერების ხმას... სოფლის ცენტრში აღმართულია ორსართულიანი ლამაზი შენობა. ეს კულტურის სახლია, რომლის აგება კოლმეურნეობას 2 მილიონი მანეთი დაუჯდა.

ყველა ეს სიმდიდრე ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას და მის წევრებს ეკუთვნით, შექმნილაა საბჭოთა ხელისუფლების წლებში საკოლმეურნეო შრომით. ნამდვილად ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებით ხარობენ ამ სოფლის მკვიდრნი. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა შარშან 5 მილიონს მიაღწია.

კოლმეურნეობაში ბევრია მოწინავე ადამიანი, უხვი მოსავლის ოსტატი, რომელთა მკერდს ამშვენებს ოქროს ვარსკვლავი ჩაქუჩისა და ნამგლის გამოსახულებით. ერთი მათგანია გული ჯინჭარაძე. შრომაში უნდა ნახოთ ეს შავგვრემანი, სანდომიანი სახის ქალი! ჩაის პლანტაცია გულის სტიქიაა, იქ მთელი სისრულით ჩანს მისი შრომითი უნარის სიდიადე. ელვის სისწრაფით, მაგრამ გამიზნულად მოძრაობენ მისი გრძელი თითები და სამუშაო დღეს სარეკორდო მაჩვენებლით ამთავრებენ. ნახევარ ჰექტარ ფართობზე გული ჯინჭარაძემ შარშან 8.368 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა და კოლმეურნეობიდან ფულად 32.000 მანეთი მიიღო.

ადამიანებთან ურთიერთობაში თავმდაბალი და გულისხმიერი, შრომაში მუდამ ბეჯითი გული ჯინჭარაძე ხალხმა შეიყვარა და 1951 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში წარგზავნა დეპუტატად. სახელმწიფო მოღვაწეობა მან ღირსეულად შეახამა კოლმეურნეობაში თავდადებულ შრომასთან. ამიტომ ამჟამადაც იგი კვლავ ერთსულოვნად დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატად.

გული ჯინჭარაძის საქმიანობით ამაყობენ ბობოყვათელი კოლმეურნეები.

ა. გელოვანი.

## სიმინდის ორი მოსავალი

ბათუმის რაიონის მოლოტოვის სახელობისა და კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში, რომელთა მიწები საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონაშია, შარშან სიმინდის ორი მოსავალი მიიღეს. რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეს მიღწეული სიმინდის პირველი მოსავალი კოლმეურნეებმა აიღეს 18 აგვისტოს და მეორე დღეს ხელმეორედ დათესეს იგივე ფართობი. სითბოსა და ტენის სიუხვემ, რაც ამ ადგილების დამახასიათებელია, ხელი შეუწყო მცენარის სწრაფ ზრდას. ნოემბრის დასაწყისში აღებულ იქნა მეორე მოსავალი, აქედან ნაწილი რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფისა.

სასილოსე სიმინდის წელიწადში ორი მოსავალი მიღებულ იქნა ჰიბრიდული თესლით, რომელიც აგრონომმა ა. ჯორბენაძემ გამოიყვანა. ეს თესლი უხვმოსავლიანობითაც გამოირჩევა. მცენარის თვითეული ღერო გამოიღებს სამ-ოთხ, ხოლო ზოგიერთი ექვს ტაროს. მარცვლეულის მოსავალი შეადგენს 50 ცენტნერს ჰექტარზე — ერთიორად და კიდევ უფრო მეტს, ვიდრე ადგილობრივი ჯიშების მოსავალი. რაიონის კოლმეურნეობებში აფართოებენ სიმინდის ჰიბრიდული ჯიშის სათესლეებს. ეს შავი ზღვის ზონის ბევრ კოლმეურნეობას საშუალებას მისცემს უახლოეს ორ-სამ წელიწადში დაიწყონ ახალი ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის თესვა და წელიწადში ორი მოსავალი მიიღონ, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს პირუტყვის საკვებ ბაზას.





სწრაფი ტემპით ვითარდება საბჭოთა აჭარის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. სურათებზე: 1. ხულოს რაიონის სოფელ რიყეთის საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური — რიყეთჰესი, რომლის მშენებლობა წელს თანვარში დამთავრდა; 2. ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის ლიმონარიუმი. ამჟამად აქ ასობით ლიმონისა და ფორთოხალის მცენარეა. მიუხედავად ზამთრისა, ზოგიერთ მცენარეზე 150-200 ცალი მწიფე ნაყოფია. წრეში — აგრონომი ი. სტურუა ლიმონარიუმის მსხმოიარე ფორთოხლის ხესთან.

## სახალხო ბლოკის კანდიდატები

### ქეთევან ხუხუნაიშვილი

ზვერის მომსწრეა ჩვენი ქარხნის — ბათუმის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს კოლექტივი. წინათ ბათუმის მომთუთიებელი ქარხანა შილინგოვის სააქციო საზოგადოებას ეკუთვნოდა. მეფის ხელისუფალთა მხარდაჭერით გათავხედებული მეპატრონე მუშებს დღეში 12-14 საათს ამუშავებდა აუტანელ პირობებში და შრომის გასამრჯელოდ კაპიკებს აძლევდა. მაშინ ყველაფერი მუქთახორა მდიდრებისათვის იყო, მშრომლებს კი თავი ვერ დაეღწიათ უუფლებობისა და სიღატაკისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მშრომელები აუტანელი ჩაგვრისაგან იხსნა და სოციალისტური ცხოვრების ნათელ გზაზე გამოიყვანა. საბჭოთა წყობილების პირობებში გაიზარდა და გაფართოვდა ჩვენი ქარხანა. იგი უახლესი ტექნიკით აღიჭურვა. ახლა ჩვენ სახალხო მოხმარებისათვის ვამზადებთ მოთუთიებულ ჭურჭელს — ავაზანებს, ვედროებს, ვარცლებს, ტაშტებს, ნავთქურებს, აგრეთვე მანქანათა ნაწილებს ჩაის მრეწველობისათვის. ხელით შრომა მანქანებმა შეცვალა, მუშაობა გაადვილდა, შრომის ნაყოფიერება ამაღლდა, მუშების გამომუშავება გაიზარდა.

შრომა დაფასდა, სახელისა და დიდების საქმედ იქცა. ვინც კარგად მუშაობს, იგი საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. მოწინავე ადამიანებს ხელისუფლების ორგანოებში ვირჩევთ და სახელმწიფო მართვა-გამგეობის დიდ საქმეს ვანდობთ.

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სათუნუქე საამქროს მოწინავე მუშა ქეთევან ხუხუნაიშვილი. მოლოტოვის № 10 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ იგი რეგისტრაციაში გაატარა.

ქეთევან ხუხუნაიშვილი დიდი ხანია ჩვენს ქარხანაში მუშაობს. ბეჯითი შრომით, ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით მთელი კოლექტივის სიყვარული დაიმსახურა. ქეთევანი ზედმიწევნით ფლობს თავის პროფესიას, დიდი ოსტატობით ასრულებს ნავთქურის სახურავის კორპუსთან შედუღების რთულ ოპერაციას და ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს, ამასთან მის მიერ შესრულებული საქმე მაღალხარისხიანობით გამოირჩევა.

წარმოების ნოვატორი მთელი მონდომებით, უდიდესი სიყვარულით გადასცემს თავის საწარმოო გამოცდილებას ახალგაზრდა მუშებს. ქეთევან ხუხუნაიშვილმა შემდუღებელ ლუმელზე მუშაობის ძნელი პროფესია შეასწავლა ახალგაზრდებს ევდოკია უდავენკოს და კლავდია ორლოვას, რომლებიც ახლა გამომუშავების ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ქეთევან ხუხუნაიშვილი დეპუტატობის ღირსეული კანდიდატია. ეჭვი არ არის, რომ 27 თებერვალს მოლოტოვის № 10 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები მას ერთსულოვნად აირჩევენ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

**შ. დარახველიძე** — ბათუმის მომთუთიებელი ქარხნის სათუნუქე საამქროს უფროსი, **თ. კამარნიცკაია** — პარტჯგუფორგანიზატორი, **ხ. თურმანიძე** — მეთუნუქე, **ზ. კოვალსკაია** — ელექტროშემდუღებელი.

### ჯელილ ბერიძე

მას შემდეგ, რაც 1950 წელს ქედის რაიონის წონიარისისა და ვარჯანისის კოლმეურნეობების გაერთიანების საფუძველზე ერთი გამსხვილებული წონიარისის მაო ძე-დუნის სახელობის კოლმეურნეობა შეიქმნა, კოლმეურნეებმა არტელის თავმჯდომარედ ჯელილ დაუთის-ძე ბერიძე აირჩიეს.

საკოლმეურნეო წარმოების ღრმა ცოდნით, კოლმეურნეებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით და უნარიანი მიდგომით ჯელილ ბერიძემ კოლმეურნეთა სიყვარული დაიმსახურა.

გამსხვილებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი ერთიორად გაიზარდა, ხოლო 1954 წელს 600 ათას მანეთს გადააჭარბა, რაც სამჯერ აღემატება 1950 წელს მიღებულ შემოსავალს.

კოლმეურნეობაში ამ ბოლო წლებში გავრცელდა ახალი კულტურა — ჩაი, რომელიც უკვე 13 ჰექტარზეა გაშენებული. წელს ჩაის პირველ მოსავალს მივიღებთ.

წლითიწლობით მატულობს თამბაქოს მოსავლიანობა. შარშან სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმა 129 პროცენტით შევასრულეთ და კოლმეურნეობამ ამ კულტურაზე მარტო პრემია-წანამატის სახით 80 ათასი მანეთი მიიღო.

დიდი ყურადღება ექცევა ვენახის გაშენებას და მისი მოსავლიანობის ამაღლებას. ახალი ფართობების ათვისების დროს კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ბევრ ადგილას წავაწყდით ქვევრებს. ეს იმას ადასტურებს, რომ ჩვენში წინათ ვაზის კულტურა დიდად განვითარებული ყოფილა, მაგრამ თურქ დამპყრობელთა ბატონობის პერიოდში განადგურებულა. ამჟამად ცოლიკაური და ჩხავერი გაშენებული გვაქვს 54 ჰექტარზე.

ჩვენს კოლმეურნეობას მეცხოველეობის განვითარების შესანიშნავი პირობები აქვს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას და ამ ნიადაგზე პროდუქტიულობის ამაღლებას. უკანასკნელ წლებში მეღორეობის ფერმამაც მოაწყვეთ. მოხუცი ნ. ბარამიძე, რომელიც პირველ ხანებში ღორის მოშენების წინააღმდეგი იყო, ახლა მეღორეობის ფერმაში მუშაობს და საუკეთესო მომვლელად ითვლება.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობაში ბევრი რამ გაკეთდა: აშენდა კაპიტალური ბოსელი, სასილოსე კოშკები, მარანი. მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა სოფლის კეთილმოწყობისათვის. ყველა ამ საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვის ჯელილ ბერიძეს. ამიტომაც ამომრჩეველთა კრებამ იგი ერთსულოვნად დაასახელა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზვარეს № 36 საარჩევნო ოლქში.

ამხ. ჯელილ ბერიძის სახით აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ჩვენ ავირჩევთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უსაზღვროდ ერთგულ ადამიანს, რომელიც მთელ თავის ენერგიას ახმარს ხალხის კეთილდღეობის საქმეს.

**მ. დავითაძე** — მაო ძე-დუნის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, **რ. ბარამიძე** — მერგოლური, **შ. ბოლქვაძე** — კოლმეურნე, **შ. დიასამიძე** — მერგოლური.

★

> ჩვენში არჩევნები წარმოებს მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თანამშრომლობის ვითარებაში, მათი ურთიერთნდობის ვითარებაში, მე ვიტყოდი, ურთიერთმეგობრობის ვითარებაში, იმიტომ, რომ ჩვენში არ არიან კაპიტალისტები, არ არიან მემამულეები, არ არის ექსპლოატაცია და, კაცმა რომ თქვას, არავინ არის, ვისაც შეეძლოს ზეგავლენის მოხდენა ხალხზე მისი ნებისყოფის დასამახინჯებლად.
>
> ი. ბ. სტალინი.

## შუახევის საარჩევნო ოლქში

აჭარის ასს რესპუბლიკაში ყველაზე ახალი რაიონია შუახევი. იგი შეიქმნა 1952 წელს ხულოს რაიონის გაყოფის საფუძველზე. მას შემდეგ სამი წელიწადიც არ გასულა, მაგრამ ამ მცირე დროში რაიონის კეთილმოწყობისათვის ბევრი რამ გაკეთდა. აშენდა რაიკომისა და რაიაღმასკომის ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, ლამაზი სასტუმრო რესტორნით, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის შენობა, სასადილო, საავადმყოფო, გაყვანილია წყალსადენი.

კოლმეურნეები ყოველწლიურად უხვ მოსავალს იღებენ. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში თამბაქოს მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერი მოსავალი მოიყვანეს და მარტო პრემია-წანამატის სახით სახელმწიფოსაგან 80.000 მანეთი მიიღეს. აქვე შარშან კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესეს კარტოფილი და ჰექტარზე 200-250 ცენტნერი მოსავალი მიიღეს.

აღიზარდა და დაწინაურდა ადგილობრივი ინტელიგენცია, რომელიც თავდადებით ემსახურება სოფლის შემდგომ კულტურულ წინსვლას.

შუახევის რაიონში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ორი საარჩევნო ოლქია შექმნილი. ჩვენს — შუახევის № 342 საარჩევნო ოლქში ოთხი სასოფლო საბჭო შემოდის: შუახევი, ჭვანა, უჩამბა და დღვანა. ოლქში შექმნილ რვა საარჩევნო უბანთან კარგად მოწყობილი აგიტპუნქტებია. მათი მეშვეობით მოსახლეობაში ფართო საგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა 280-მდე აგიტატორი.

ოლქის მშრომელებმა ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებში დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს მოწინავე ადამიანები, რომლებმაც ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული შრომით საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭეს. მათ შორის არიან თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატი სულთან აბუსელიძე, მოწინავე კოლმეურნე ინდა ფუტკარაძე, სკოლის დირექტორი აიშე შავაძე და სხვები. ამჟამად საარჩევნო ოლქში ფართოდ გაჩაღდა აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ.

შუახევის საარჩევნო ოლქის მშრომელები მაღალი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან არჩევნებისათვის.

შ. დავითაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შუახევის № 342 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

## ციფრები და ფაქტები

- საბჭოთა წყობილების დამყარებამდე აჭარას არც ერთი ჰიდროელექტროსადგური არ ჰქონია. ამჟამად რესპუბლიკაში 32 სახელმწიფო და საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურია. 126-დან ელექტროფიცირებულია 61 კოლმეურნეობა. 6.205 საკოლმეურნეო ოჯახში კაშკაშებს ილიჩის ნათურები.
- 1935 წელს ბათუმში დაარსდა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელსაც 6 ფაკულტეტი აქვს. დღემდე ინსტიტუტი 3.423 ახალგაზრდამ დაამთავრა.
- რესპუბლიკაში ამჟამად 3 თეატრი, 23 კინოთეატრი, 23 მოძრავი კინოდანადგარი, 7 კულტურის სახლი და 92 სასოფლო კლუბი ემსახურება მშრომელთა მზარდ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

# დიადი გარდაქმნები

ა. ბერიძე,
აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ერთ დროს ჩამორჩენილი, თურქ დამპყრობთა მიერ აოხრებული და გაჩანაგებული აჭარა — საქართველოს ეს განუყოფელი ნაწილი — მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაადგა სამეურნეო და კულტურული აყვავების გზას. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სწრაფად განვითარდა აჭარის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, ამაღლდა მშრომელთა კეთილდღეობა და კულტურული დონე. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით აჭარაში შეიქმნა და განვითარდა ნავთობგადამმუშავებელი, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი, გემთშემკეთებელი, ქიმიური, საკონსერვო და ჩაის მრეწველობა, აშენდა ელექტროსადგურები, დიდად გაიზარდა კვების პროდუქტების, ფართო მოხმარების საქონლის, საშენი მასალების წარმოება. საკმარისია ითქვას, რომ 1927 წელთან შედარებით აჭარის მრეწველობამ შარშან 140-ჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა.

მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული საგზაო მშენებლობაში. გახსნილია ახალი საავტობუსო მაგისტრალები, სულ უფრო უმჯობესდება მგზავრთა მომსახურება. ცნობილია, რომ აჭარისათვის დამახასიათებელი იყო უგზოობა. სოფლებს არ ჰქონდათ ერთმანეთთან და ცენტრთან დამაკავშირებელი გზები. ტრანსპორტის ძირითად საშუალებას ცხენი წარმოადგენდა. ამჟამად აჭარის სოფლები დაქსელილია ახალგაყვანილი გზებით, რომლებზეც გამუდმებით დაქრიან სატვირთო და სამგზავრო ავტომობილები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი ყურადღება მიექცა ქალაქ ბათუმის, სარაიონო ცენტრებისა და სოფლების კეთილმოწყობას. ფართოდ გაიშალა საბინაო, კულტურულ და სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობა. ქ. ბათუმისა და სარაიონო ცენტრების კეთილმოწყობაზე მარტო შარშან 3.400 ათასი მანეთი დაიხარჯა. ბათუმში დაწყებულია მშენებლობა და 1955 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 4 ახალი საცხოვრებელი სახლი 2.800 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით. გარდა ამისა შენდება და 1955-1956 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 21 საცხოვრებელი სახლი 17.903 კვადრატული მეტრი საერთო ფართობით სამრეწველო საწარმოთა მუშებისა და სპეციალისტებისათვის.

დღითიდღე ვითარდება და წინ მიდის საბჭოთა აჭარის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობა. აჭარის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა დიდი მუშაობა გასწიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის.

აჭარის სასოფლო რაიონების მშრომელები დიდ მუშაობას ეწევიან ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ტუნგოსა და სხვა კულტურების შემდგომი განვითარებისა და მოსავლიანობის ამაღლებისათვის. ყოველწლიურად იზრდება ამ კულტურებით დაკავებული ფართობი და მათი მოსავლიანობა. თუ 1950 წელს აჭარის მეჩაიეებმა საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 3.365 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1954 წელს მოკრეფილ იქნა 4.100 კილოგრამი. აჭარის მეჩაიეებმა გასულ წელს ხარისხოვანი ჩაის კრეფის დავალება 102 პროცენტით გაანაღდეს.

1950 წლის შემდეგ აჭარაში 917 ჰექტარზე გაშენდა ჩაის ახალი პლანტაციები. ამავე პერიოდში ეს კულტურა დაინერგა ქედის რაიონში, სადაც ჩაის პლანტაციებს უკვე 205 ჰექტარი ფართობი უჭირავს.

აჭარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1954 წლის მოსავლიდან 1950 წელთან შედარებით 20 მილიონზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი ჩააბარეს სახელმწიფოს. დიდი გადაჭარბებით შესრულდა ტუნგოს, აბრეშუმის პარკის, თამბაქოს, კარტოფილის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები. ამაღლდა სიმინდის, ყურძნის, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობა.

თურქი დამპყრობლების 300 წლის ბატონობის პერიოდში აჭარაში ვაზის კულტურა განადგურდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო ამ დიდმნიშვნელოვანი კულტურის აღდგენა.

ამჟამად ვენახებს აჭარის კოლმეურნეობებში 300 ჰექტარი ფართობი უჭირავს. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე 122 ჰექტარი ვენახები გაშენდა. კოლმეურნეებმა შეიყვარეს ვაზი, ბეჯითად უვლიან მას და დიდ მოსავალსაც იღებენ.

სერიოზული მიღწევებია მეცხოველეობაში. გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის განვითარების 1954 წლის სახელმწიფო გეგმა. 1950 წელთან შედარებით 1954 წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 276 კილოგრამით მეტი რძე. მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები აქვთ ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებს, რომლებმაც გასულ წელს დიდძალი ჯიშიანი პირუტყვი შეიძინეს, მოაწყეს საქონლის ბაგური კვება და საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 1.542 კილოგრამი რძე მიიღეს გეგმით გათვალისწინებული 1.280 კილოგრამის ნაცვლად.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საფუძველზე ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი და განუყოფელი ფონდები. 1950 წელთან შედარებით 1954 წლისათვის საერთო ფულადი შემოსავალი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 20 მილიონი მანეთით გაიზარდა. ამჟამად კოლმეურნეობებს განუყოფელ ფონდში 300 მილიონამდე მანეთი აქვთ, 1950 წელს კი 227,5 მილიონი მანეთი ჰქონდათ.

საკოლმეურნეო წყობილებამ აჭარის სოფლის მშრომელებს შეძლებული და კულტურული ცხოვრება შეუქმნა. ამჟამად რესპუბლიკაში 43 მილიონერი კოლმეურნეობაა. ქობულეთის რაიონის „წითელი ოქტომბრის", ვოროშილოვის, მოლოტოვის სახელობის, ბათუმის რაიონის კიროვის, კაგანოვიჩის, კალინინის სახელობის და ბევრ სხვა კოლმეურნეობაში შრომადღეზე ფულად გასცეს 20-37 მანეთი. საკოლმეურნეო შრომამ დოვლათით აავსო კოლმეურნეთა ოჯახები და სახე შეუცვალა აჭარის სოფლებს. ძველებურმა ფარღალალა ქოხმახებმა ადგილი დაუთმო კოლმეურნეთა ორსართულიან კოხტა ოდა სახლებს, რომელთა ოთახებში ილიჩის ნათურები კაშკაშებენ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი მუშაობა შესრულდა სოფლის ელექტროფიკაციის დარგში. მარტო 1950 წლის შემდეგ რესპუბლიკაში აშენდა 10 საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც მომსახურებას უწევს 36 კოლმეურნეობას.

წინათ სახალხო განათლებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმე უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ამჟამად კი აჭარაში 378 ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური საშუალო სასწავლებელი და ერთი პედაგოგიური ინსტიტუტია, რომლებშიც 48.500-ზე მეტი მოსწავლე და სტუდენტია. სახალხო განათლების საქმეზე ყოველწლიურად 57 მილიონ მანეთზე მეტი იხარჯება.

იზრდება და ფართოვდება სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი და სახელმწიფო ასიგნობანი ამ დანიშნულებით. 1950 წლის შემდეგ რესპუბლიკაში გაიხსნა სხვადასხვა ტიპის 10 დისპანსერი და პოლიკლინიკა, 15 საუბნო საავადმყოფო, აქედან 7 საუბნო საავადმყოფო გახსნილია ხულოსა და შუახევის რაიონების მაღალმთიან სოფლებში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში მხოლოდ ორი სამკითხველო და ერთი კლუბი იყო. ახლა რესპუბლიკაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა 400-ზე მეტი სახელმწიფო და საკოლმეურნეო კლუბი, ბიბლიოთეკა და კულტურის სახლი. კულტურის ამ კერებში მშრომელები შინაარსიანად ატარებენ თავისუფალ დროს. უკანასკნელ წლებში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი მონუმენტური შენობა. აშენდა აგრეთვე ბათუმის საზაფხულო კინოთეატრი.

ამჟამად აჭარის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. მშრომელებმა ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებში დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლები, მოწინავეni მოწინავეთა შორის, რომლებმაც საქმით დაიმსახურეს ხალხის სიყვარული და პატივისცემა. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან წარმოების ნოვატორები, უხვი მოსავლის ოსტატები, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებული მუშაკები, მეცნიერებისა და ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული პოლიტიკით უსაზღვროდ მადლიერნი აჭარის ასსრ მშრომელები არჩევნებისათვის ემზადებიან უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. 27 თებერვალს ისინი სიხარულით მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცებენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, რომლებმაც ისინი გამოიყვანეს განვითარების ფართო გზაზე, დაუმკვიდრეს შეძლებული და ბედნიერი ცხოვრება.

◁ ★ ▷



არჩევნების მოახლოებასთან ერთად დღითიდღე ფართოვდება საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. სურათზე: ქობულეთის რაიონის დაგვის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტის წინ. თებერვლის უჩვეულო მზიან დღეს აგიტატორ ლ. გვარამაძესთან შეკრებილან ამომრჩევლები და ისმენენ მის საუბარს საბჭოთა საარჩევნო სისტემის შესახებ.

# ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო

## დიდი ბრიტანეთის ელჩი უ. ჰეიტერი და ინდოეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული პ. კაული

4 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი უ. ჰეიტერი.

იმავე დღეს ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ინდოეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნი პ. კაული.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის საბჭოში

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (ტასსი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის საბჭომ დაამთავრა განხილვა მოხსენებისა საფრანგეთის მმართველობაში მყოფი სამეურვეო ტერიტორიის კამერუნის მდგომარეობის შესახებ. მმართველ ხელისუფალთა წარმომადგენელი ცდილობდა ყოველნაირად შეელამაზებინა მდგომარეობა საფრანგეთის კამერუნში და ფრანგ მმართველ ხელისუფალთა ღონისძიებანი. ფრანგ მმართველ ხელისუფალთა მიმართ კრიტიკული შენიშვნები გააკეთეს ინდოეთის, სირიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა. ინდოეთის წარმომადგენელმა ლალმა, რომელიც შეეხო ფრანგ მმართველ ხელისუფალთა წარმომადგენლის მოხსენებას, აღნიშნა, რომ მოხსენების შინაარსი (და მაშასადამე, თვით ხელისუფალთა ღონისძიებიც ამ ტერიტორიაზე) სულაც არ ადასტურებენ იმას, რომ სრულდებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი დებულებანი და შეთანხმებანი მეურვეობის შესახებ. „ჩვენ მხოლოდ მოვისმინეთ განცხადება ტერიტორიის კოლონიური მართვის შესახებ", — თქვა ინდოეთის დელეგატმა. „ჩვენი აზრით, — განაგრძო მან, — სამეურვეო ტერიტორიის მიმართ კოლონიური განხილვის ატმოსფეროს შექმნა ნიშნავს არასწორი გზით და არასწორი მიმართულებით სიარულს". ინდოეთის დელეგატმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ფრანგი მმართველი ხელისუფალნი კამერუნში არ ასრულებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, შეთანხმებებს მეურვეობის შესახებ და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს იმის შესახებ, რომ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ამ ტერიტორიამ მოიპოვოს თვითმმართველობა და დამოუკიდებლობა.

სირიის წარმომადგენელმა ტარაზიმ აღნიშნა, რომ საფრანგეთის მმართველმა ხელისუფლებმა კამერუნი — ტერიტორია, რომელიც მეურვეობის საერთაშორისო სისტემაშია, — ფაქტიურად საფრანგეთის კავშირის შემადგენლობაში მოაქციეს. მან გააკრიტიკა საფრანგეთის მმართველ ხელისუფალთა ღონისძიებანი კამერუნის მკვიდრი მოსახლეობის ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების დარგში.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ვ. ფ. გრუბიაკოვმა საბჭოს წევრებს მოაგონა, რომ საბჭოთა დელეგაცია საბჭოს უკვე წინა სესიებზე მიაქცევდა ყურადღებას იმას, რომ საფრანგეთის ადმინისტრაციის მმართველობაში მყოფი კამერუნის მართვის განვითარება ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და არ შეესაბამება მკვიდრი მოსახლეობის სურვილებს და მისი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური განვითარების ინტერესებს. საფრანგეთის კავშირში კამერუნის შეყვანა საფრანგეთის კოლონიურ სამფლობელოთა თანასწორ საწყისებზე, თქვა გრუბიაკოვმა, სამეურვეო ტერიტორიას უქმნის ჩვეულებრივი კოლონიის მდგომარეობას, რომელსაც არა აქვს ცალკე სტატუსი. ეს მდგომარეობა პირდაპირ ეწინააღმდეგება მეურვეობის საერთაშორისო სისტემის მიზნებს, რამდენადაც აძნელებს ხალხთა პროგრესს თვითმმართველობისა და დამოუკიდებლობისაკენ.

დასასრულ საბჭოთა წარმომადგენელმა ურჩია საბჭოს წევრებს სერიოზულად შეისწავლონ სამეურვეო ტერიტორიის მდგომარეობა და ურჩიონ მმართველ ხელისუფლებს მიიღონ ღონისძიებანი, რათა შეასრულონ მეურვეობის საერთაშორისო სისტემის ძირითადი მიზანი — ამ ტერიტორიამ მიაღწიოს თვითმმართველობას და დამოუკიდებლობას.

მეურვეობის საბჭომ დაიწყო მოხსენების განხილვა ინგლისის მმართველობაში მყოფი კამერუნის სამეურვეო ტერიტორიის მდგომარეობის შესახებ.

# საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

## დაეცა მენდეს-ფრანსის მთავრობა

პარიზი, 4 თებერვალი. (ტასსი). საფრანგეთის ეროვნული კრების გუშინდელ სხდომაზე, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სოციალისტსა და რადიკალს, რომლებიც გაუბედავად ცდილობდნენ დაეცვათ მენდეს-ფრანსის პოლიტიკა ჩრდილოეთ აფრიკაში, ორატორთა უმრავლესობა მკაცრად ილაშქრებდა მთავრობის წინააღმდეგ. სოციალისტებიც კი, რომლებიც საერთოდ მენდეს-ფრანსის მხარეზე არიან, მკაცრად აკრიტიკებდნენ მთავრობის პოლიტიკას. სოციალისტმა რაბიემ განაცხადა, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს კოლონიური რეპრესიების პოლიტიკას. მეორე სოციალისტმა დეპუტატმა აგრეთვე თქვა, რომ რეპრესიები ალჟირში საყოველთაო უკმაყოფილებას იწვევს და რომ ეს ზიანს აყენებს საფრანგეთს.

მთავრობის პირველი წარმომადგენელი, რომელმაც სიტყვა აიღო ამ კამათში, იყო ტუნისისა და მაროკოს საქმეთა მინისტრი ფუშე, რომელიც ცდილობდა დაემშვიდებინა, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთის კოლონიური წრეების წარმომადგენლები. ფუშეს გამოსვლიდან გამომდინარეობს, რომ „საშინაო ავტონომია", რომელიც ტუნისს აღუთქვეს, მოკლებულია ყოველგვარ შინაარსს, რადგან საფრანგეთი შეინარჩუნებს ყველა პრეროგატივას ეკონომიურ, დიპლომატიურ, სამხედრო და პოლიტიკურ დარგებში.

ზოგიერთი დეპუტატის გამოსვლის შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა მთავრობის მეთაური მენდეს-ფრანსი, რომელსაც დეპუტატებმა სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს შეძახილებით და ხმაურით. მან აღიარა, რომ მიმდინარე კამათის მნიშვნელობა დიდად სცილდება ჩრდილოეთ აფრიკის პრობლემის ფარგლებს და რომ არსებითად საქმე ეხება მთავრობის მთელ პოლიტიკას.

კამათის ბოლოს მენდეს-ფრანსმა დასვა ნდობის საკითხი, მოითხოვა რა მიიღონ რადიკალ მაიეს რეზოლუციის პროექტი, რომელიც ნდობას უცხადებს მთავრობას. მენდეს-ფრანსმა მოითხოვა უარყონ „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის რეზოლუციის ორი პროექტი და კომუნისტთა საპარლამენტო ჯგუფის პროექტი. კენჭისყრა ნდობის საკითხზე განზრახულია მოეწყოს 5 თებერვალს ნოლ საათზე ადგილობრივი დროით. გამოსვლები კენჭისყრის მოტივებზე დაიწყება დღევანდელ საღამოს სხდომაზე.

ღამის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი, რომლის მსვლელობაში მკაცრად გააკრიტიკეს მთავრობის პოლიტიკა და თვით პრემიერ-მინისტრი. დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები მენდეს-ფრანსის მთავრობას გმობდნენ იმისათვის, რომ იგი ახორციელებს დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისა და ვერმახტის აღორძინების პოლიტიკას. ისინი აგრეთვე აკრიტიკებდნენ მთავრობის პოლიტიკას ჩრდილოეთ აფრიკაში. კომუნისტმა დეპუტატმა ბალანჟემ მენდეს-ფრანსს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ყველა პატრიოტის თვალში თქვენ იქნებით ის კაცი, რომელიც ხელს უწყობდა დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას".

შინაგან საქმეთა მინისტრი მიტერანი თავის სიტყვაში ცდილობდა გაემართლებინა მთავრობის პოლიტიკა ჩრდილოეთ აფრიკაში და დაიმოწმა სამხედრო ღონისძიებანი, რომლებიც მიღებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად.

„სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის წევრმა ყოფილმა მინისტრმა პოლ კოსტ-ფლორემ განაცხადა, რომ ალჟირში პოლიცია „სჩადიოდა თვითნებობისა და რეპრესიის ისეთ აქტებს, რომლებიც შეურაცხყოფენ ადამიანის ღირსებას", და რომ ჩრდილოეთ აფრიკაში „საპყრობილეები სავსეა".

მენდეს-ფრანსი მკვახედ უპასუხებდა ორატორს და ამტკიცებდა, რომ იმ მომენტში, როცა მისი მთავრობა სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას, ტუნისისა და მაროკოს საპყრობილეებში უკვე ათასობით პატიმარი იყო. იგი კვლავ არწმუნებდა მემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენლებს, რომ საფრანგეთის პოზიციები ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში შენარჩუნებულ იქნება. მენდეს-ფრანსი დეპუტატებს ემუქრებოდა: „თქვენ უნდა ჩაუფიქრდეთ, — თქვა მან, — რა შედეგები მოჰყვება ნდობაზე უარის თქმას. საზღვარგარეთ თქვენს გადაწყვეტილებას გაიგებენ, როგორც იმ პოლიტიკაზე უარის თქმას, რომელიც ყველა ჩვენს მეგობარს ახარებდა".

პარლამენტის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელთა გამოსვლების შემდეგ, რომლებმაც განმარტეს თავიანთი პოზიციები, დაიწყო კენჭისყრა.

მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების რეზოლუცია უარყოფილ იქნა 319 ხმით. რეზოლუციას ხმა მისცა 273 დეპუტატმა. მას შემდეგ, რაც თავმჯდომარემ კენჭისყრის შედეგი გამოაცხადა, მენდეს-ფრანსი ტრიბუნაზე ავიდა და აპირებდა ერთხელ კიდევ წარმოეთქვა სიტყვა. მაგრამ დეპუტატებმა ლაპარაკის შესაძლებლობა არ მისცეს. აწეხილ ხმაურში მენდეს-ფრანსი ცდილობდა რაღაც ეთქვა, მაგრამ იძულებული გახდა დაეტოვებინა ტრიბუნა დეპუტატების არასასიამოვნო შეძახილებში.

ამის შემდეგ მენდეს-ფრანსი მინისტრებთან ერთად მაშინვე წავიდა ელისეს სასახლეში — პრეზიდენტის რეზიდენციაში და გადასცა მას განცხადება კაბინეტის გადადგომის შესახებ.

მენდეს-ფრანსის მთავრობის დაცემაზე საზღვარგარეთის რეაგირების შესახებ პარიზში მიღებული პირველი ცნობები მოწმობენ, რომ ვაშინგტონში, ლონდონსა და ბონში ამ ამბავმა გამოიწვია მკვეთრი შეშფოთება პარიზის შეთანხმებათა ბედის გამო იმასთან დაკავშირებით, რომ მათი რატიფიკაციის საკითხი ახლო მომავალში უნდა განიხილოს საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭომ.

პარიზი, 5 თებერვალი. (ტასსი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, 4 თებერვალს ღამით საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ 319 ხმით დაამხო მენდეს-ფრანსის მთავრობა, უარი უთხრა რა მას ნდობაზე. ნდობას ხმა მისცა 273 დეპუტატმა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მენდეს-ფრანსის მთავრობამ ნდობის საკითხი დასვა იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნული კრება განიხილავდა მთავრობის პოლიტიკას ჩრდილოეთ აფრიკაში.

პარიზი, 5 თებერვალი. (ტასსი). დღეს დილაადრიან ეროვნულ კრებაში მოხდა კენჭისყრა მენდეს-ფრანსის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხზე. როგორც ცნობილია, მენდეს-ფრანსმა ნდობის საკითხი დასვა და მოითხოვა მიეღოთ რეზოლუცია, რომელიც იწონებს საფრანგეთის პოლიტიკას ჩრდილოეთ აფრიკაში.

## ერაყის მთავრობამ გადაწყვიტა ხელი მოაწეროს თურქეთ-ერაყის სამხედრო ხელშეკრულებას

ბეირუთი, 4 თებერვალი. (ტასსი). ბაღდადიდან მიღებული ცნობით, 3 თებერვალს თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ ერაყის მეფე ფეისალი, მემკვიდრე პრინცი აბდულ ილაჰი და პრემიერ-მინისტრი ნური საიდი, გადაწყდა ხელი მოაწერონ თურქეთ-ერაყის სამხედრო ხელშეკრულებას.

# საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხისათვის

## იაპონიის მინისტრთა კაბინეტის სხდომა

შანხაი, 4 თებერვალი. (ტასსი). როგორც ტოკიოდან იუწყებიან, იაპონიის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, რომელიც დღეს გაიმართა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საკითხზე".

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების თანახმად, კაბინეტის დღევანდელ სხდომაზე „ოფიციალურად გადაწყდა" მიღებულ იქნას საბჭოთა კავშირის წინადადება იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით მოლაპარაკების შესახებ. ამასთან, როგორც იუწყებიან, გადაწყდა, რომ „ყველა საჭირო დეტალს" განიხილავს საგარეო საქმეთა მინისტრი სიგემიცუ.

როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხზე კაბინეტის სხდომის შემდეგ, საგარეო საქმეთა მინისტრმა სიგემიცუმ განაცხადა, რომ იაპონია „უახლოეს ერთ ან ორ დღეში" განაცხადებს თავის თანხმობას საბჭოთა კავშირის წინადადებაზე — დაიწყოს მოლაპარაკება იაპონიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვით, ეს პასუხი საბჭოთა კავშირს გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან იაპონიის მეთვალყურის მეშვეობით.

ტოკიოს რადიო იუწყება, რომ კაბინეტის სხდომის დამთავრებისთანავე გაიმართა მმართველი დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის თათბირი. თათბირზე მთავრობის სახელით სიტყვა წარმოთქვა მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა ნემოტომ, რომელმაც განმარტა კაბინეტის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება. რადიო იუწყება, რომ თათბირმა მოიწონა მთავრობის კურსი და გადაწყვიტა „ყოველნაირად შეუწყოს ხელი საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების წარმოებას". ამასთან, დემოკრატიულმა პარტიამ განაცხადა, რომ იგი „მთელ ძალღონეს მოახმარს იმას, რომ უმოკლეს ვადაში მოწვეულ იქნას იაპონია-საბჭოთა კავშირის კონფერენცია დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საკითხზე".

როგორც რადიო იუწყება, თათბირზე აგრეთვე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დაწყებას პირობად არ უნდა დაედოს ტერიტორიული საკითხების და ინტერნირებულ იაპონელთა დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა", რადგან ეს საკითხები „შეიძლება გადაწყდეს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შემდეგ".

# საბჭოთა კავშირში ინდოეთის ელჩის მენონის გამოსვლა მადრასში

დელი, 4 თებერვალი. (ტასსი). პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტო იუწყება, რომ მადრასში სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში მენონმა.

კორესპონდენტის კითხვაზე, ეშინია თუ არა საბჭოთა კავშირს „ამერიკის შეერთებული შტატების უპირატესი ძლიერებისა", მენონმა უარყოფით უპასუხა და დასძინა, რომ, „ესწრაფვის რა მშვიდობას, საბჭოთა მთავრობას სავსებით შეგნებული აქვს თავისი ძალა".

ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ საბჭოთა კავშირში გაემგზავრება მიმდინარე წლის ზაფხულში და რომ საერთაშორისო ამბები ამას ხელს ვერ შეუშლის.

როგორც მენონმა აღნიშნა, მას არავითარი ეჭვი არა აქვს, რომ საბჭოთა მთავრობა ესწრაფვის საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას. ამ მიზნით, თქვა მან, საბჭოთა მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა.

საბჭოთა კავშირის მთავრობა და ხალხი, ხაზგასმით აღნიშნა მენონმა, მაღალ შეფასებას აძლევენ ინდოეთის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას და მის როლს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

„რუსეთს, — განაგრძო ელჩმა, — ესმის, რომ მისი საკუთარი ინტერესები მოითხოვს უაღრესად არსებითად უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობის ხანგრძლივი პერიოდი. მას სავსებით შეგნებული აქვს ატომური ომის საფრთხე. რუსეთში არსად არ ლაპარაკობენ ომზე და არ არის ომის ისტერია".

# დასავლეთ გერმანიაში გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დაარსების მე-5 წლისთავის გამო

ბერლინი, 5 თებერვალი. (ტასსი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პროფესორმა კორენსმა ფრონტის ეროვნული საბჭოს სახელით და თავისი სახელით მისასალმებელი წერილი გაუგზავნა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებას მისი დაარსების მე-5 წლისთავის გამო.

წერილში ლაპარაკია იმ მუშაობის უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელსაც ეწევა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება დასავლეთ გერმანიაში და რომლის მიზანია ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფოს შექმნა გერმანელი ხალხის ძირითადი ინტერესებისა და საბჭოთა კავშირის მტკიცე მისწრაფებების შესაბამისად.

საბჭოთა კავშირის მთავრობის 15 იანვრის განცხადება გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ, აღნიშნულია შემდეგ წერილში, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გერმანიასთან ომის მდგომარეობის შეწყვეტის შესახებ მოწმობს იმ გულწრფელობას, რომლითაც საბჭოთა კავშირის ხალხები მხარს უჭერენ გერმანელ ხალხს მის ბრძოლაში მშვიდობისათვის, გერმანელი და ამერიკელი იმპერიალისტების ახალი ომისათვის მზადების წინააღმდეგ.

# მუშათა მხატვრული თვითმოქმედება



[illegible] მას ახლა გაზეთილი სპეცტანსაცმელის ნაცვლად მოხუცი კოლმეურნის ტანსაცმელი აცვია. დღეს კლუბში აჩვენებენ ო. რაზმაძის და ნ. მახარაშვილის პიესას „ჩვენ გავიმარჯვებთ". ამავე სპექტაკლში მონაწილეობენ მემანქანის თანაშემწეები გ. გურგენაშვილი და ს. კობახიძე, მეტაბელე ლ. ენუქიძე, შემფასებელი ც. შაყულაშვილი, ზეინკალი ჯ. ბაკურაძე, ყოფილი მემანქანე, ახლა პენსიონერი გ. ყუშიტაშვილი და სხვ. მაყურებლები ტაშით ხვდებიან თეატრალური კოლექტივის უხუცეს წევრს, ყოფილ მემანქანეს, ამჟამად საორთქლმავლო გუნდების უფროს განმწესებელს ივანე ხახვიაშვილს. ისინი სამუშაოდან პირდაპირ სცენაზე მოვიდნენ.

მუშათა ეს ნიჭიერი თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივი 1936 წელს ჩამოყალიბდა. მისი შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი ი. ხახვიაშვილი იყო. იგი 40 წელია ემსახურება მხატვრული თვითმოქმედების საქმეს, განსახიერებული აქვს 130-ზე მეტი როლი, მონაწილეობა მიუღია 2.400-ზე მეტ სპექტაკლსა [illegible] დეპოს თეატრალური კოლექტივის შეფია რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელიც მას დაეხმარა მხატვრული განათების აპარატურით და სხვა საჭირო ინვენტარით. კოლექტივს ხშირად უწევს კონსულტაციას ამავე თეატრის რეჟისორი მ. თუმანიშვილი.

კლუბთან არსებობენ ინდივიდუალურ შემსრულებელთა და მხატვრულ მკითხველთა ჯგუფები. შესვენების დროს ისინი თეატრალურ კოლექტივთან ერთად ხშირად აწყობენ კონცერტებს, გამოდიან რკინიგზის სავალე სადგურების მოსაცდელ დარბაზებში და მუშა-მოსამსახურეებსა და მგზავრებს უჩვენებენ თავიანთ თვითმოქმედებას.

გ. ძნელაძე.

სურათზე: სცენა თბილისის საორთქლმავლო დეპოს თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივის სპექტაკლიდან „ჩვენ გავიმარჯვებთ" (მარჯვნიდან) ი. ხახვიაშვილი (ფოსტალიონი ილარიონი), გ. გურგენაშვილი (არხიპა) და ს. კობახიძე (ჰორაციო).

ფოტო დეპოს ზეინკლის დ. დათაშვილისა.

# სტუდენტთა არდადეგების დღეებში

მხიარულად და შინაარსიანად ატარებენ საზამთრო არდადეგების დღეებს თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. მათთვის ეწყობა მრავალი გასართობი, სანახაობა, ექსკურსიები, კოლექტიური სვლები კინოებსა და თეატრებში. კინოთეატრ „კომკავშირელში" მოეწყო კინოფესტივალი თემაზე — „დემოკრატიული ახალგაზრდობის ბრძოლა მშვიდობისა და მეგობრობისათვის".

2 თებერვალს ასობით სტუდენტმა მოიყარა თავი თბილისის ოფიცერთა სახლის საცეკვაო დარბაზში გამართულ ბალზე. აქ იყვნენ აგრეთვე მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ბაქოდან, ერევნიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუდენტები, ქართველი მწერლები და ქალაქის თეატრების მსახიობები. ლამაზი ფერებით განათებულ დარბაზში გაისმის საცეკვაო მუსიკა, ახალგაზრდების წყვილები დასრიალებენ პარკეტზე, ერთიმეორეს ცვლის მრავალი გასართობი.

საღამოს მეორე ნაწილში გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქალაქის საწარმო-დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

4 თებერვალს რკინიგზელის სახლში სტუდენტებმა შეხვედრა მოუწყეს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს. ამავე დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სტუდენტები ესტუმრნენ გამოჩენილ მეცნიერებს, რომლებმაც ახალგაზრდებს მოუთხრეს თავიანთი მუშაობის შესახებ.

# «საქართველოს კომუნისტი» № 1

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი" № 1.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: მოწინავე: „საბჭოთა დემოკრატიის ცხოველმყოფელი ძალა"; სტატიები: დ. ქორიძე — „ლენინის კოოპერაციული გეგმა და მისი მნიშვნელობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში", ლ. ებანოიძე — „რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისი და საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლების აღმავლობა", ვ. გოგოლაშვილი — „ლენინური გაზეთი „ვპერიოდი"", ე. სეხნიაშვილი — „ავამაღლოთ პარტიული პროპაგანდის დონე".

განყოფილებაში „საერთაშორისო თემაზე" დაბეჭდილია სტატია — „დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაცია საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას".

განყოფილებაში „საუბარი ბუნებათმეცნიერულ საკითხებზე" დაბეჭდილია ე. ვასაძის „ადამიანის წარმოშობა".

განყოფილებაში „სადღეისო თემაზე" დაბეჭდილია წერილები „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები", „საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოლმეურნეობებში".

განყოფილებაში „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია" დაბეჭდილია ა. სურგულაძის — „მონოგრაფია ამიერკავკასიაში იმპერიალისტური ინტერვენციის კრახის შესახებ", კ. ბაქრაძის — „პრაგმატიზმი — ამერიკის იმპერიალიზმის ფილოსოფია".

განყოფილებაში „პარტიული ქრონიკა" დაბეჭდილია: „საარჩევნო კამპანიის საკითხი პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროზე", „საგაზაფხულო თესვისათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის გამოყოფის შესახებ" და „დავამყაროთ მტკიცე წესრიგი ვაჭრობაში".

# «ნაუკის» ჩემპიონები

თბილისის ცენტრალურ სასპორტო დარბაზებში რამდენიმე დღის გრძელდებოდა შეჯიბრება ფრენბურთში ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ნაუკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე.

ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად იბრძოდა ქალთა და ვაჟთა 24 გუნდი. ქალთა 6 და ამდენივე ვაჟთა უძლიერესი კოლექტივის გამოსავლენებლად წინასწარი შეხვედრები მიმდინარეობდა ქვეჯგუფებში.

დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: ქალთა გუნდებს შორის — მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის, თბილისის, ხარკოვისა და ტომსკის სპორტსმენთა კოლექტივებმა, ვაჟთა გუნდებს შორის — მოსკოვის, ოდესის, ხარკოვის, როსტოვის, ტომსკისა და სვერდლოვსკის ფრენბურთელებმა.

წარმატებით იბრძოდა თბილისის ქალთა გუნდი, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და მეოთხეჯერ მოიპოვა „ნაუკის" ჩემპიონის წოდება. ვაჟთა გუნდებს შორის გამარჯვება მოიპოვა ოდესის „ნაუკის" ფრენბურთელთა კოლექტივმა.

# შემთხვევა ვაგონში

ამას წინათ ბორჯომ-თბილისის მატარებლის ერთ-ერთი ვაგონის გამცილებელმა მ. კაკაბაძემ, როდესაც თბილისში ვაგონი დაიცალა, ნახა ჩანთა, რომელიც მგზავრს დარჩენოდა. ჩანთაში 2.500 მანეთი აღმოჩნდა.

მ. კაკაბაძემ ეს მოახსენა გამცილებელთა მარქაფის კადრების უფროსს და გადასცა ჩანთა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა მოქალაქე რ. ჩაპლიგინა რომელიც აღმოჩნდა დაკარგული ჩანთის პატრონი. მას უცვლელად ჩაბარდა თავისი დანაკარგი.

ვაგონის გამცილებელ მ. კაკაბაძეს პატიოსანი მოქმედებისათვის გამოეცხადა მადლობა და მიეცა ფულადი ჯილდო.

რედაქტორი ნ. ჯაში.


**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

ყოველდღე

პირველად თბილისში

ახალი ორიგინალური ატრაქციონი

მსახიობ

**ა. სოკოლის**

ხელმძღვანელობით

„სასწაულები უსასწაულოდ"

და განახლებული დიდი საცირკო წარმოდგენა

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

დღეს, 6 თებერვალს

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა.

დასაწყისი დღის 12 საათზე და 3 საათზე. ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში, რუსთაველის პროსპ. № 1 და 2, პლეხანოვის პროსპ. № 97 და ჩელუსკინელების ქ. № 31.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე. ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

**თბილისის „დინამოს" სტადიონი**

დღეს, 6 თებერვალს

**ფეხბურთი**

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" გარდამავალი პრიზის გათამაშება საქართველოს სსრ ფეხბურთელთა უძლიერეს გუნდებს შორის.

მონაწილეობენ:

აჭარის ასსრ-ის, აფხაზეთის ასსრ-ის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ფოთის, ქუთაისის ნაკრები გუნდები, ქ. თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლისა და ახალგაზრდობის ნაკრები გუნდი.

თამაშის დასაწყისი დღის 10, 12, 14 და 16 საათზე.

ბილეთები იყიდება თბილისის „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

**დ ღ ე ს**

**თბილისის თეატრებში**

**ოპერისა და ბალეტის** — ქეთო და კოტე (დილას), გორდა (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით, საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ყაჩაღები (დილას), სამშობლო (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — კაცია ადამიანი?! (დილას), ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — მოგზაურობის წლები (დილა-საღამოს), **სომხური დრამის** — დანგრეული ოჯახი (დილას), ვაგიფი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — რეკორდი (დილას), არშინ მალ-ალან (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ეს მოხდა მოსკოვში (აბონემენტი № 29, 12 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მისი მეგობრები (11 ს.), სიღარიბე სამარცხვინო არ არის (8 ს.).

**კინოთეატრებში**

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — ვატერლოოს ხიდი კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის — განგა, დიდუბე, ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კლუბი — ვინ არის დამნაშავე, კოლმეურნე, კიროვის პარკი — ქარიშხალი, კოლხიდა — კომედიანტები, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — სათადარიგო მოთამაშე, კომუნარების ბაღი — ბაიკუ ბავრა.


მეუღლე თამარ, შვილები პეტრე, ლენა, ოთარ ოჯახებით იუწყებიან

**მიხეილ პეტრეს-ძე სულავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-II, 7 ს. გამოსვენება 8-II, 4 ს. გოგიეთის ქ. № 40.

მშობლები ივანე, ნინო, მეუღლე მარო, შვილები სედა, რაფო, კიმო, ადა ოჯახებით იუწყებიან

**არტემ ივანეს-ძე დავითიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-II, 7 ს. გამოსვენება 10-II, 5 ს. კრილოვის ქ. № 2.

ძმა ნოე ოჯახით იუწყება

**გიორგი ევგრაფის-ძე იაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-II, 8 ს. გამოსვენება 8-II, 4 ს. ბრძოლის ქ. № 44.

მეუღლე ლეოლინა შავიშვილი ოჯახით იუწყება

**იოსებ იაკობის-ძე ლუბენსკის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-II, 7 ს. გამოსვენება 8-II, 4 ს. პაპანინის ქ. № 60.

მეუღლე სანდრო, შვილი ოლია ოჯახით იუწყებიან

**ანა მელიტონის ასულ ცხვირავაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი, 6, 7-II, 8 ს. გამოსვენება 8-II, 4 ს. ბრძოლის ქ. № 41.

მეუღლე ივანე, შვილები მაშო, სოფიო, თამარ, სულიკო, არსენა, მერი იუწყებიან

**ოლა პავლეს ასულ მიქელოვას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-II, 7 ს. გამოსვენება 8-II, 3 ს. სოფელ მუხრანში.

მეუღლე შიო, შვილები კიაზო, თენგიზ, გურამ ოჯახებით იუწყებიან

**ხონია მიხეილის ასულ ნადარეიშვილი-დავლიანიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-II, 8 ს. გამოსვენება 8-II, 4½ ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 44.

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მუშაკები იუწყებიან

**ერმილე გლახუას-ძე პატიაშვილის**

გარდაცვალებას.

ძმები გარსევან, გიდევან, გრიშა, დები რისიმე, ნინო ოჯახებით იუწყებიან

**ლუბა ნესტორის ასულ კალანდაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-II, 5 ს. ქ. ბათუმში. გამოსვენება ბინიდან, მარქსის ქ. № 50.

შვილები დავით, გრიშა, თამარ, ოლია ოჯახებით იუწყებიან

**ფოსინე დავითის ასულ გძელიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-II, 5 ს. მახარაძეში.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: [illegible]

უე 00123

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.